საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №58/ნ

2019 წლის 21 მარტი

ქ. თბილისი

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 აგვისტოს №24/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„შეტანილ იქნეს ცვლილება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 აგვისტოს №24/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 30/08/2018, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.017581) და ბრძანების 1^1 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 და 1^3 მუხლები:

„მუხლი 1^2. გამოცდების ცენტრმა უზრუნველყოს მის მიერ 2019 წლის თებერვლის თვეში ჩატარებული ზოგადი უნარების გამოცდაზე რეგისტრირებული პირებისთვის ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის დაბრუნება.

მუხლი 1^3. 2019 წლის თებერვალში ჩატარებული გამოცდების მომზადების მიზნით გამოცდების ცენტრის მიერ გატარებული ღონისძიების დაფინანსება განხორციელდეს „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ცენტრისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და **მიხეილ ბატიაშვილი**
სპორტის მინისტრი